შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 ივლისის №გ23-24 ბრძანებით

# შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წლებისთვის

## ინფორმაცია სკოლის შესახებ

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა დაფუძნდა 2012 წელს ორი იურიდიული პირის შერწყმის შედეგად. სკოლამ პირველი ავტორიზაცია გაიარა 2013 წლის 19 სექტემბერს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. სკოლის დამფუძნებლები არიან ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი და მისი შვილი ქეთევან დოჩანაშვილი, რომელიც სკოლის დირექტორია.

## სტრატეგიული გეგმის შემუშავება

სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. ასევე განსაზღვრავს ამ ამოცანათა შესრულებისთვის საჭირო ვადებს, ინდიკატორებს და შემსრულებელ სტრუქტურებსა და პირებს. სტრატეგიული გეგმის შემუშავება განხორციელდა დაგეგმვის ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიან როგორც სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. პროცესი იყო სრულად თანამონაწილეობითი და მხარდაჭერილი ჩართული მხარეების მიერ.

## SWOT - ანალიზი

SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შიდა და გარე ფაქტორები და დადგინდა ის მხარეები, რომლებიც ხელს უწყობენ ან უშლიან ორგანიზაციას, მისი მისიის აღსრულებაში.

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|
| • სკოლაში შექმნილია კულტურული გარემო<br>• ინდივიდუალური მიდგომაა თითოეულ ბავშვთან როგორც სწავლის, ასევე აღზრდის თვალსაზრისით<br>• სკოლა მეორე ოჯახივითაა<br>• მეგობრული გარემოა ბავშვებისათვის და მთელი სკოლის კოლექტივისთვის<br>• სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ერთმანეთს იცნობენ, მეგობრობენ და ზრუნავენ ერთმანეთზე<br>• სკოლა საგანში ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება" სწავლების მაღალ აკადემიური დონეს აჩვენებს<br>• სკოლაში არსებობს ხელოვნების სახელოსნოები<br>• ხშირია მრავალფეროვანი შიდა სასკოლო აქტივობები, მათ შორის საქველმოქმედო ღონისძიებები<br>• სკოლია დირექცია მუდმივად გამოხატავს თანადგომას მოსწავლეების იდეების რეალიზების მიმართ | • დიდია მოსწავლეთა მხრიდან სკოლაში გადმოსვლის მოთხოვნა, თუმცა ამის პარალელურად სკოლას არ აქვს საკმარისი ფართი<br>• ასევე სკოლის სასწავლო ფართი არ იძლევა პარალელური კლასების გახსნის შესაძლებლობას<br>• თუ მოსწავლე ვერ მიჰყვება კლასს და აქვს აკადემიური ჩამორჩენა, არ არის დამატებითი მეცადინეობის ჩატარების შესაძლებლობა<br>• მოსწავლეები ნაკლებად მოტივირებულნი არიან, გავიდნენ ინგლისური ენის ცოდნის დონის გამოცდაზე<br>• უფროსი კლასების მოსწავლეებისთვის დასვენებების, საუზმის, სადილის დრო არის ხანმოკლე და |

| | |
|---|---|
| • სკოლა თანამშრომლობს English book education-თან<br>• გაძლიერებულია ინგლისური ენის სწავლება<br>• უკვე მე-3 კლასიდან მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გავიდნენ ინგლისურის ენის დონის განმსაზღვრელ გამოცდაზე<br>• სკოლა ყოველწლიურად სთავაზობს მოსწავლეებს საზაფხულო სკოლას ბრიტანეთში<br>• English book education ატარებს ყოველწლიურ ტრეინინგებს მასწავლებლებისთვის<br>• სკოლაში საგნობრივი კათედრების წევრებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა, ასევეა სხვადასხვა საგნობრივ კათედრას შორისაც<br>• ,,ევერესტის" ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებს ყველა მოსწავლე და აჩვენებენ კარგ შედეგებს<br>• სკოლის ექთანი მაქსიმალურად აკონტროლებს ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვების კვებას<br>• სკოლის დირექცია და მასწავლებლები მაქსიმალურ მხარდაჭერას გამოხატავენ ბავშვის პრობლემების მოგვარებაში<br>• სკოლაში ყურადღება ექცევა ბავშვებისთვის დამოუკიდებელი მუშაობის სწავლას<br>• ხშირია სასწავლო ექსკურსიები სკოლის დაფინანსებით<br>• სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება<br>• ახალი მოსწავლეები ინტეგრაცია ახალ გარემოში | ვერ ახერხებენ ერთმანეთთან სრულფასოვან კომუნიკაციას<br>• საკლასო ოთახებში არ არის კომპიუტერები |
| **შესაძლებლობები** | **რისკები** |
| • სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება- შენობა №2-სა და №3-ზე სართულების დამატება<br>• სკოლის მიმდებარედ არსებული ფართის შემოერთება და სპორტული დარბაზის მოწყობა<br>• ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, დოკუმენტაციის გადახედვა<br>• საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა<br>• ახალი მოთხოვნების შესაბამისად ახალი საგნობრივი კურიკულუმების შედგენა<br>• საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გაფართოება<br>• კომპიუტერული ლაბორატორიის გაფართოება<br>• საგანში ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება" უფრო მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალურ გარემოში<br>• მაღალ კლასებში ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების" სწავლების გაძლიერება<br>• მეხუთე კლასიდან თითოეული კლასიდან წარმომადგენლის არჩევა მოსწავლეთა საბჭოში | • შესაბამისი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა<br>• სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები, შესაბამისად, არაგადამხდელუნარიანი მშობელი<br>• ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები<br>• კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა<br>• გლობალური ან/და ადგილობრივი ფორსმაჟორული სიტუაციები და გამოწვევები |

| | |
|---|---|
| დირექციასთან საკომუნიკაციოდ და იდეების გასაჟღერებლად<br>• მეტი დროის გამოყოფა მაღალკლასელებისთვის ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ<br>• კინო-კლუბისა და სპექტაკლების განახლება<br>• მოსწავლეთა მიერ ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება<br>• სასწავლო რესურსების - მულტიპლიკაციების- შექმნა საბუნებისმეტყველო საგნებისთვის, ინტეგრაცია ხელოვნებასთან<br>• დამატებითი გაკვეთილების და წრეების ორგანიზება მოსწავლეების ინტერესების მიხედვით | |

სკოლის მისია:

მოსწავლეთათვის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული, ქართულ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული განათლების მიცემის გზით დამოუკიდებელი და ტოლერანტული ღირებულებების მქონე, მრავალმხრივად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბება, რომლებიც ნებისმიერ გარემოში შეძლებენ საკუთარი თავის დამკვიდრებას.

სკოლის ხედვა:

ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა მოსწავლე შეძლებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა-განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ ნებისმიერ გარემოში თავის დამკვიდრებას და წარმატებას.

სკოლის ღირებულებები:

ხარისხზე ორიენტირება, თანამშრომლობა, თვითგამოხატვის თავისუფლება, გამჭვირვალობა, გუნდურობა, სამართლიანობა, თანასწორობა

**სტრატეგიული მიზნების ჩამონათვალი**

**მიზანი №1.** ინსტიტუციური განვითარება

**მიზანი №2.** სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/განვითარება

**მიზანი №3.** სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება

**მიზანი №4.** ადამიანური რესურსის მართვა

**მიზანი №5** შიდა და გარე კომუნიკაციის გაძლიერება

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 ივლისის №გ23-24 ბრძანებით

## სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წლებისთვის

**სტრატეგიული მიზანი №1. ინსტიტუციური განვითარება**

| ამოცანა | | წლები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა | შეფასების შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029–2030 | | | |
| 1.1.. | 1. სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი რეგულაციების გადახედვა-განვითარება, ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა | | | | | | | | შექმნილია/განახლებულია ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისი სასკოლო საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტაცია | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, იურიდიული კომპანია-თორაძე და პარტნიორები, ბუღალტერი, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი | |
| 1.2. | მოსწავლეთა საბჭოს შექმნა და მისი ფუნქციონირება | | | | | | | | სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საბჭო; სკოლის დებულებასა და სკოლის სტრუქტურაში განსაზღვრულია | დირექტორი, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი, | |

| | | | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა | შეფასების შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | მოსწავლეთა საბჭო, შექმნილია მისი დებულება, საბჭო ფუნქციონირებს | იურიდიული კომპანია-თორაძე და პარტნიორები | |
| **სტრატეგიული მიზანი №2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/განვითარება** | | | | | | | | | | | |
| **ამოცანა** | | **წლები** | | | | | | | **შესრულების ინდიკატორი** | **პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა** | **შეფასების შედეგი** |
| | | **2023 - 2024** | **2024 - 2025** | **2025 - 2026** | **2026 - 2027** | **2027 - 2028** | **2028 - 2029** | **2029 - 2030** | | | |
| 2.1. | სასწავლო პროცესის ორგანიზება-დაგეგმვა: სასკოლო სასწავლო გეგმის ფორმირება, საგაკვეთილო ცხრილის შედგენა | | | | | | | | ყოველწლიურად შედგენილია სასკოლო სასწავლო გეგმები, საგაკვეთილო ცხრილები | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში | |
| 2.2. | ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ახალი საგნობრივი კურიკულუმების შედგენა/განვითარება | | | | | | | | ახალი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილია საგნობრივი კურიკულუმები კათედრების მიხედვით | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო - აღმზრდელობით დარგში, საგნობრივი კათედრის წევრები-მასწავლებლები | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.3. | მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დამატებითი გაკვეთილებისა და წრეების ორგანიზება | | | | | | | | სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ესგ-ით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებით მომსახურების გაწევა მოსწავლეთათვის, შექმნილია წრეები და დამატებითი გაკვეთილების განრიგი მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად | დირექტორი, დირექტორის მოადგილეები,დამრიგებლები | |
| 2.4. | სასწავლო რესურსების შექმნა/განვითარება (საგანთა შორის კავშირებით, ინტეგრაციით) | | | | | | | | შექმნილია სასწავლო რესურსები სხვადასხვა საგანში | დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები | |
| 2.5. | სკოლაში ხარისხის შეფასების ახალი სისტემის დანერგვა/განხორციელება/განვითარება | | | | | | | | სკოლაში დაინერგა ხარისხის შეფასების ახალი სისტემა, შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | დოკუმენტი, განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლაში პროცესი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით მიმდინარეობს | სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, ხარისხის უზრუნველყოფა ზე პასუხისმგებელი პირი | |
| **სტრატეგიული მიზანი №3. სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება** | | | | | | | | | | | |
| ამოცანა | | წლები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა | შეფასების შედეგი |
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 | | | |
| 3.1. | სკოლის შენობის მოდერნიზება/ინფრასტრუქტურის განვითარება | | | | | | | | სკოლის შენობაზე დაშენებული და კეთილმოწყობილია 2 სართული, სკოლის მიმდებარე ახალ ფართში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი | დირექტორი, ბუღალტერი, მნე | |
| 3.2. | სკოლის ეზოსა და სასწავლო სივრცის განახლება | | | | | | | | სკოლის ეზოში სპორტული აქტივობებისთვის | დირექტორი, მნე, ბუღალტერი, | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | კეთილმოწყობილია სივრცეები, ყოველწლიურად განახლებულია შენობა | სპორტის მასწავლებელი | |
| 3.3. | საგანმანათლებლო რესურსების განვითარება/გაუმჯობესება | | | | | | | | ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ყოველწლიურად განახლებულია, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები გაუმჯობესებულია; სკოლის ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია კომპიუტერები | დირექტორი, ბიბლიოთეკარი, მნე, ბუღალტერი | |
| 3.4. | ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება | | | | | | | | სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში; სკოლის ვებგვერდი მუდმივად განახლებულია | დირექტორი, საქმისმწარმოებელი, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი | |
| **სტრატეგიული მიზანი №4. ადამიანური რესურსის მართვა** | | | | | | | | | | | |

შპს გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლა
დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 ივლისის №გ23-24 ბრძანებით

| ამოცანა | | წლები | | | | | | | შესრულების ინდიკატორი | პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურა | შეფასების შედეგი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023 - 2024 | 2024 - 2025 | 2025 - 2026 | 2026 - 2027 | 2027 - 2028 | 2028 - 2029 | 2029 - 2030 | | | |
| 4.1. | ახალი კადრების მოძიება | | | | | | | | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი ადამიანური რესურსი, მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები | დირექტორი, საქმისმწარმოებელი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში | |
| 4.2. | სკოლაში თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა/განხორციელება | | | | | | | | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები და გაზომვადი ინდიკატორები; სკოლაში თანამშრომლები შეფასებულნი არიან კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით | დირექტორის მოადგილეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.3. | სკოლის თანამშრომელთა ჩართვა შესაბამის სასწავლო კურსებში, ტრენინგებში | | | | | | | | არსებობს ტრენინგებში მასწავლებელთა მონაწილეობის ამსახველი მასალა; თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგებსა თუ სხვა სასწავლო კურსებში, არსებობს ამის დამადასტურებელი მასალა | დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში | |
| 4.4. | სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელთა ჩართვა English book education-ის ყოველწლიურ ტრენინგებსა და კონფერენციებში, სასწავლო პროგრამებზე მუშაობა | | | | | | | | ინგლისური ენის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს English book education-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში; English book education-ის თანამშრომლობით ინგლისურ ენაში შედგენილია სასწავლო პროგრამები | დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; უცხოური ენების კათედრის წევრები-ინგლისური ენის მასწავლებლები | |
| 4.5. | სკოლის ექიმის გადამზადება საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მისაღებად | | | | | | | | სკოლას ჰყავს მინისტრების 21.03.2022 წლის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით | დირექტორი, ბუღალტერი, ექიმი | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | განსაზღვრული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე ექიმი | | |
| **სტრატეგიული მიზანი №5.შიდა და გარე კომუნიკაციის გაძლიერება** | | | | | | | | | | | |
| 5.1. | სკოლის მოსწავლეებთან და მათი მშობლებთან კომუნიკაციის გაძლიერება ბრიტანეთის საბჭოების მიერ ორგანიზულ ინგლისური ენის გამოცდაში მოსწავლეთა მონაწილეობის მისაღებად | | | | | | | | სკოლის მოსწავლეთა 40% -მა მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთის საბჭოს მიერ ორგანიზებული გამოცდებში | დირექტორი,დირექტორის მოადგილეები, უცხოური ენების კათედრა, დამრიგებლები | |
| 5.2 | საქართველოში მოქმედ მუზეუმებთან, მწერალთა სახლთან და სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობა-მათ საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლეთა მონაწილეობა | | | | | | | | სკოლის მოსწავლეები, სხვადასხვა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუმრობენ საქართველოში მოქმედ მუზეუმებს, მწერალთა სახლს და სხვა საგანმანათლებლო | დირექტორი, დირექტორის მოადგილეები; საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | და კულტურულ ინსტიტუციებს, მონაწილეობენ მათ საგანმანათლებლო პროგრამებში | | |
| 5.3. | თანამშრომლობის გაძლიერება uk bridge-სთან- მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკების მოწყობა | | | | | | | | სკოლის მოსწავლეები, სურვილის მიხედვით, ყოველ ზაფხულს დადიან ინგლისში 2 კვირით, ასევე მონაწილეობას იღებენ uk bridge- ის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში | დირექტორი,უცხ ოური ენების კათედრა | |
| 5.4. | მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერული დაგემვის სისტემის დამკვიდრება სკოლაში: მშობლის დღის დაწესება, კურსდამთავრებულთა ვიზიტები სკოლაში, სხვა წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრა, უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების გაცნობა | | | | | | | | სკოლაში სასწავლო წლების განმავლობაში გაიმართა მინიმუმ 2-3 შეხვედრა წარმატებულ მშობლებთან და კურსდამთავრებულ ებთან, მოსწავლეები სტუმრობდნენ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს | დირექტორი, ადმინისტირების ა და მონიტორინგის პროცესების მენეჯერი | |